საქართველოს მთავრობის

დადგენილება №823

2020 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 აპრილის №262 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 აპრილის №262 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/04/2020, 470200000.10.003.021974) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2020 წლის პროგრამის“ მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დაფინანსების წესი და პროგრამის ბიუჯეტი

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (პროგრამული კოდის – 27 01 02 03 ფარგლებში), პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 32 080 (ოცდათორმეტი ათას ოთხმოცი) ლარით.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა	**თანხა (ლარებში)**
სამკურნალო საშუალებების ნიმუშების შესყიდვა	2 080
მივლინების ხარჯები	0
სამკურნალო საშუალების ხარისხის ლაბორატორიული კვლევა	30 000
სულ:	**32 080**

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**